საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“

MINISTRY OF EDUCATION,
SCIENCE, CULTURE AND SPORT
OF GEORGIA
LEPL COLLEGE „AKHALI TALGA“

MES 2 21 0000014504

20/01/2021

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების
განვითარების დეპარტამენტის უფროსის ფუნქციათა
შემსრულებელს ქალბატონ თამარ სამხარაძეს

ქალბატონო თამარ,

პროფესიული განათლების შესახებ კანონის შესაბამისად გიგზავნით სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ 2020 წლის საქმიანობის ანგარიშს.

ავტორიზაციის პროცედურების შესახებ

მოგახსენებთ, რომ სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“ მუდმივად ზრუნავს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე პროფესიული მოზადება/გადამზადების პროგრამების დანერგვაზე და არსებული პროგრამების განვითარებაზე. შესაბამისად 2020 წელს კოლეჯმა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მიმართა ჯამში 7 განაცხადით:

- ავტორიზაციით დაემატა პროფესიული საგანმანათკლებლო პროგრამა „მეფუტკრეობა“ , როგორც ქობულეთის, ასევე ხულოს ფილიალის მისამამართზე.
- განახორციელდა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება პროფესიულ საგანმანათლებლო პრპოგრამებში, კერძოდ "კომპიუტერული ქსელი და სისტემები", „სასტუმრო მომსახურება“ და „სარესტორნო მომსახურება“.
- ბაზრის კვლევების შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში „სასტუმრო მომსახურება“, „სარესტორნო მომსახურება“, „კონდიტერია“, „კულინარიის ხელოვნება“ არჩევით მოდულად დავამატეთ მოდული "ბარის ორგანიზება" ავტორიზაციის გზით.

ქ.ქობულეთი შ. რუსთაველის ქუჩა N 154
ტელ: +995 (426) 26-68-51
www.kpc.ge
ccnewwave@gmail.com

154, Rustaveli Street, Kobuleti
+995 (426) 26-68-51
www.kpc.ge
ccnewwave@gmail.com

- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებებს: „მშენებლობის წარმოება-თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“, „მშენებლობის წარმოება-იატაკისა და ფილის სამუშაოები“ და „მშნებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოები“ ავტორიზაციის გზით შევცვალეთ განხორციელების მიდგომები;

დადასტურების გზით დავიმატეთ შემდეგი პროფესიული მომზადების პროგრამები: "ხე-ტყის დამზადება", "საქმისწარმოება", "ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება სასტუმრო სფეროს საწარმოებში", "სასტუმროს გაყიდვები და მარკეტინგი" და "სასტუმროს მიღება-განთავსების პროცედურები".

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილ სამუშაობის პარალელურად მიმდინარეობდა კოლეჯის თვითშეფასების მომზადება, რომელის წარდგენის ვალდებულებაც გაგვაჩნია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში სამ წელიწადში ერთხელ. კოლეჯის თვითშეფასების მომზადებასთან ერთად შემუშავდა/დაიხვეწა მრავალი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი, შეფასდა 42 პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა.

სასწავლო პროცესის შესახებ

მსოფლიოში და ქვეკანაში ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე 2020 წელს სსიპ კოლეჯში „ახალი ტალღა“ სასწვლო პროცესი ხორციელდებოდა განსაკუტრებულ რეჟიმში, კერძოთ:

- 2020 წლის 2 მარტიდან 14 ივლისამდე სასწავლო პროცესი კოლეჯში იყო შეჩერებული, გარდა დუალური პროგრამებისა, რომლებიც ხორციელდებოდა პარტნიორ ორგანიზაციებში. თანამშრომლები გადავიდენ მუშაობის დისტანციური რეჟიმზე.
- 2020 წლის 14 ივლისიდან 14 სექტემბრამდე ყველა შესაბამისი რეგულაციების დაცვით სასწავლო პროცესი სრულად ხორციელდებოდა ქობულეთშიც და ხულოშიც.
- 2020 წლის 14 სექტემბრიდან ქობულეთში და 16 სექტემბრიდან ხულოში სასწავლო პროცესი შეჩერდა, გარდა დუალური და პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებისა. თანამშრომლები გადავიდენ მუშაობის დისტანციური რეჟიმზე.
- 2020 წლის 9 ნოემბრიდან სსიპ კოლეჯში „ახალი ტალღა“ ეტაპობრივად ინერგებოდა დისტანციური სწავლება, ხოლო დეკემბრიდან დისტანციურ სწავლებაზე გადავიდა პროგრამების უმრავლესობა. კოლეჯში შემუშავდა შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტები, დეპარტამენტის მხარდაჭერით და თავისი ძალით განხორციელდა პროფესიული მასწავლებლების ტრენინგები.
- 2020 წლის დეკემბრიდან კოლეჯის ისეთ პარტნიორ ორგანიზაციების ბაზაზე, რომლებმაც ეპიდემიიდან გამომდინარე არ შეწყვიტეს საქმიანობა, ხორციელდება სწავლების პრაქტიკული კომპონენტი.

სასწავლო პროცესის სრულყოფილად და უსაფრთხოთ განხორციელების მიზნით კოლეჯმა:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციელური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების საფუძველზე შეიმუშავა შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტები, განახორციელა პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების ტრენინგები.

- შეისყიდა შესაბამისი აღჭურვილობა, სახარჯი მასალა და შენობების სრული დეზინფექციის მომსახურეობა სულ 16 022,57 ლარის.

აღსაღნიშნავია, რომ 2020 წელს სასწავლო პროცესის განხორციელების პერიოდში არ დაფიქსირებულა არცეთი თანამშრომლის ან პროფესიული სტუდენტის დაინფიცირების ფაქტი.

2020 წლის მიღებისას კოლეჯში მოდულური, დუალური და ინტეგრირებული განხორციელების მიდგომის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა 426 პროფესიული სტუდენტი და მიმდინარე პროფესიული სტუდენტებთან ერთად ქობულეთში და ხულოში ირიცხება სულ 1314 პროფესიული სტუდენტი.
2020 წელს კვალიფიკაცია მიენიჭა 240 კურდამთავრებულს.

2020 წელს არსებულ 9 ავტორიზირებულ პროფესიულ მომზადებისა და პროფესიულ გადამზადების პროგრამას დაემატა 5 პროგრამა, ხოლო სწავლება განხორციელდა 10 ჯგუფში, რომელიც წარმატებით დაასრულა 102 მსმენელმა (მათ შორის 10 შშმ პირი).

ხარისხის განვითარების შესახებ

ავტორიზაციის ახალმა სტანდარტმა კოლეჯი ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა, მანამდე არსებული 3 სტანდარტი კარგად გააზრებული და შესაბამისად პროცესებიც კარგად ორგანიზებული და შედეგზე ორიენტირებული იყო. თუმცა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მხარდაჭერით და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ეს გამოწვევებიც დაძლეული იქნა. ამ ეტაპისათვის ხარისხის განვითარება არა მხოლოდ სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარებას გულისხმობს, არამედ ყველა იმ პროცესის განვითარებას რომელიც ხელს უწყობს კოლეჯის გამართულ, სტანდარტების შესაბამისად მუშაობას.

ხარისხის სამსახური ახორციელებს შიდა პროცესების მონიტორინგს, რის შედეგების საფუძველზე მიმდინარეობს განვითარების გეგმების შემუშავება და პროცესების დახვეწა. ასეთი ძირითადი პროცესებია:

- დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარების მონიტორინგი;
- საგანმანათლებლო პროგრამები (მ. შ. პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამები);
- პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები;
- ადამიანური რესურსები;
- მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები;

სსიპ კოლეჯის "ახალი ტალღა" 2020 წლის სამოქმედო გეგმა ახალი სტანდარტებიდან გამომდინარე ითვალისწინებდა სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტების შემუშავებას. 2020 წელს კოლეჯის ძალებით და გაეროს განვითარების პროგრამის დაფინენსებით, რომლის ფარგლებში განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის რეკომენდაციის საფუძველზე აყვანილი იქნა 7 ექსპერტი, შემუშავდა/დაიხვეწა შემდეგი მარეგულირებელი დოკუმენტები:

- "მისია, ხედვა და ღირებულებების დაინტერესებული მხარეების მიერ გაზიარებისა და საჯაროდ ხელმისაწვდომობის მექანიზმი";
- „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“;
- „პროფესიული სტუდენტების შეფასების მტკიცებულებების შენახვის ვადებისა შესახებ";
- „შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“;
- მოდიფიცირებული შინაგანაწესი;
- "ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა" (პერსონალის შეფასების წესისა და საჭიროებათა კვლევის კითხვარი (თვითშეფასება და შეფასება);
- „ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის საკითხი“;
- "პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებული კვლევის მეთოდოლოგია“;
- "IT რისკების მართვის პოლიტიკისა და საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის პოლიტიკა (მ. შ. საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა შეფასების მეთოდოლოგია)";
- „საზოგადოებასთან ურთიერთობის/ კომუნიკაციის წესი/სტრატეგიის დოკუმენტი“;
- „სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის რეგულაციის მოდიფიცირებული პროექტი";
- რეესტრის წარმოების წესი;
- პერონალური მონაცემთა დაცვის მექანიზმი;
- ხარისხის მართვის პოლიტიკა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- საქმისწარმოებისა და არქივის წარმოების წესი;
- მატერიალური რესურსების განკარგვის წესი (მ. შ. პროგრამების მიხედვით რესურსების რეგულარული შეფასებისა და განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია);
- სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის რეგულაცია;
- სახარჯი მასალების აღრიცხვა/გაცემის პროცედურების დოკუმენტაცია;

ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ

1. სახანძრო უსაფრთხოების რეგულაციებთან შენობების შესაბამისობაში მოყვანა:

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2019 წლის 10 ივნისის წერილის N1496845 (შიდა ნომერი 948291) „სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ ქობულეთში I, II და III კორპუსების დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმების ჩატარების შედეგების“ საფუძველზე პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტთის მხარდაჭერით განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის შედეგად კოლეჯის სამივე კორპუსი აკმაყოფილებს მოქმედი კონანმდებლობით გათვალისწინებულ უსაფრთხოების რეგულაციებს.

ზემოაღნიშნულთან ერთად, კოლეჯის მეორე (ხუთსართულიანი) კორპუსის შეფუთვასთან, კოლეჯის სამივე კორპუსში ელ.გაყვანილების მოწესრიგებასთან და პირველ და მეორე კორპუსის შორის გადასასვლელის სახურავის შეცვლასთან დაკავშირებით სსიპ

საგანამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, სსიპ კოლეჯს "ახალი ტალღა" და შპს "ქართული სამშენებლო ჯგუფი-ს" შორის 2020 წლის 23 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების N320702/03/53 საფუძველზე განხორციელდა ქ. ქობულეთის კოლეჯის "ახალი ტალღა"-ს სარეაბილიტაციო სამუშაოები - თანხა 1 605 000,00 ლარი

2. სამი ცალკე მდგარი სახელოსნოს აგება:

პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტთის მხარდაჭერით, 2020 წლის სსიპ საგანამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაფინანსების ფარგლებში სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ ტერიტორიაზე მიმდინარეობს ცალკე მდგარი სახელოსნოების აგება, შემდეგი სპეციალობებისათვის:

- მსუბუქი ავტომობილის შეკეთება;
- ხის მხატრული დამუშავება;
- შედუღება;

ამჟამად პროექტი აქტიურ სტადიაშია, სამუშაოებს აწარმოებს ამხანაგობა "მოდერნ ბილდინგ გრუპ", თანხა 679 677,00 ლარი.

საერთაშორისო პროექტების შესახებ

სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“ 2020 წელს აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო პროექტებში, კერძოდ:

- მ/წ 19-დან 24 იანვრის ჩათვლით განხორციელდა სსიპ კოლეჯის "ახალი ტალღა" დელეგაციის ვიზიტი პოლონეთის რესპუბლიკაში. ვიზიტის ფარგლებში, კოლეჯმა გააგრძელა და განავითარა ურთიერთობა ქ.ობორნიკის ადამ მიცკევიჩის სახელობის სკოლასთან. მათთან ერთად Erasmus + პროექტის ფარგლებში დაიგეგმა ორმხვრივი სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები.
- ასევე, ზემოაღნიშნული ვიზიტის ფარგლებში მოპოვებული იქნა ახალი პარტნიორი, კერძოდ ქ.მილიცის სატყეო სკოლა, რომელთანაც გაფორმდა მემორანდუმი პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების გაცვლითი პროგრამების შესახებ. პირველ ეტაპზე 2021 წლის განმავლობაში დაგეგმილია პროფესიული მასწავლებლების გაცვლითი პროგრამა.
- 2020 წლის 2 ივნისს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტისა სამინისტროს რეკომენდაციის საფუძვლეზე, სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღა“ გახდა ,,ქსელი სრულყოფილებისთვის“ წევრი. ევროპული სასწავლო ფონდი ქმნის კავშირს პროფესიული სრულყოფილების ცენტრებისთვის, რომელიც ორგანიზებას გაუწევს ინოვაციების, კრიტერიუმების შემუშავებას და ხარისხის გაუმჯობესებას განათლების სფეროში, დაიგეგმება ტრენინგები, განიხილება უნარები, რომელსაც ითხოვს შრომის ბაზარი. ცენტრები ჩვეულებრივი პროფესიული სკოლებია ან სხვა მიმწოდებლები ან ასეთი სკოლების ჯგუფები. ეს უკავშირდება ევროკავშირის მხარდამჭერ ინიციატივას ხელი შეუწყოს პროფესიულ ცენტრებს სრულყოფილების მიღწევაში.

- სსიპ კოლეჯს „ახალი ტალღა“ და „ქემონიქს ინტერნეიშენელ ინკ“-ის ფილიალს „ქემონიქს საქართველოს“ შორის 2019 წლის 17 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, რომლის მიზანია სამეგრელოს რეგიონში, კერძოდ ანაკლიაში და ზუგდიდში ადილობრივი მოსახლეობის ტრენინგ-კურსების განხორციელება ტურიზმის სფეროში, მათი დასაქმების ხელშეწყობისათვის დასრულდა პროექტის მეორე ეტაპი და მიმდინარეობს კონსულტაციები მესამე ეტაპის განხორციელების შესახებ.
- 2020 წელს კოლეჯში განხორციელდა გაეროს განვითარების პროექტის საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული პროექტი: "ახალი ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტაციისა და გარემოს, კერძოთ მცირედმხედველთა და უსინათლოთათვის, შესაბამისობაში მოყვანა".

საქმისწარმოების შესახებ

მიუხედავად ეპიდემიისა 2020 წელი საკმაოდ დატვირთული იყო, როგორც საბიუჯეტო ჯგუფის ასევე არასაბიუჯეტო ჯგუფის, მათ შორის პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზდების პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მოძრაობით, ასევე როგორც სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის და მათი განხორციელების კუთხით, საინტერესო და მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქნა გატარებული სამართალ შემოქმედებითი იდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების კუთხით, ფინანსურ და შესყიდვების სამსახურთან ერთად, სახელმწიფო შესყიდვების კუთხით საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ჯგუფების სასწავლო პროცესის კუთხით გატარებული იქნა მნიშვნოლოვანი ღონისძიებები დღეის მდგომარეობით კოლეჯში გაფორმებულია იქნა 135 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, 2020 წელს პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მოძრაობასთან დაკავშირებით მომზადებული იქნა საბიუჯეტო ჯგუფში 50 და არასაბიუჯეტო ჯგუფში 87 სამართლებრივი აქტი ბრძანება, ჯამში სხვადასხვა კუთხით კოლეჯში მომზადებული იქნა 526 (ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი ბრძანება).

პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვის მიზნით კოლეჯში (ხელახლა) დანიშნული/გადანიშნული იქნა 165 პროფესიული მასწავლებლები და მათთან მომზადებული იქნა შესაბამისი დანიშნვნის ბრძანებები და შრომითი ხელშეკრულებები, (მათ შორის წინარე შრომითი ხელშეკრულებები), ამასთან საშტატო განრიგით და შტატგარეშე თანამშრომლებთან დანიშნვნა/გადანიშნვნასთან დაკავშირებით გაფორმებული იქნა 124 შრომითი ხელშეკრულება, კოლეჯში დაგეგმილი მიზნების განსახორციელებლად გამოცემული იქნა თანამშრომლების (დირექციის, ადმინისტრაციის და დამახმარე პერსონალების) დანიშნვნის შესახებ შესაბამისი ბრძანებები და მათთან გაფორმებული იქნა შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები.

მსოფლიოში და მათშორის, საქართველოში არსებული კორონავირუსის ინფექციის (Covid – 19) გავრცელების საპრევენციო ღონისძიებებიდან გამომდინარე კოლეჯში გამოიცა 55 სამართლებრივი აქტი ბრძანება, მათ შორის პროფესიულ განათლებლის მასწავლებლებზე პანდემიის დროს ანაზღაურების გაცემასთან დაკავშირებით, ასევე ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულების ინსტრუქციების დამტკიცების, შესაბამისი ჟურნალების დამტკიცების და რეკომენდაციების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ, კოლეჯი

აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარითა და საჭირო მარაგებით, რითაც კოლეჯმა გაირა შესაბამისი შემოწმება და ჯანდაცვის სამინიტროს მიერ შეფასდა დადებითად.

2020 წელს კოლეჯის მიერ სხვადასხვა პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებთან, მათ შორის სხვადასხვა ორგანიზაციებთან ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან გაფორმებული იქნა მნიშვნელოვანი ურთიერთ თანამშრომლობის ხელშეკრულება/მემორანდუმები, მათ შორის ისეთი მემორანდუმები, რომელიც ხელს უწყობს კოლეჯს კორონავირუსის ინფექციის (Covid – 19) გავრცელების პერიოდში უწყვეტად შეასრულოს დაგეგმილი სასწავლო პროცესი, როგორც თეორიული ისე პრაქიკული კომპონენტის ნაწილში.

კოლეჯის მიერ 2020 წელს სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები და შესაბამის ორგანიზაციებზე გაწეულია სხვადასხვა მომსახურეობები, მათ შორის სსიპ კოლეჯს "ახალი ტალღა" და სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტექნოლოგიების კოლეჯს შორის 2020 წლის 16 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულება, სსიპ კოლეჯს "ახალი ტალღა" და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის 2020 წლის 04 თებერვალს და 2020 წლის 10 აგვისტოს გაფორმებული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, ა(ა)იპ საზოგადოებრივი გაერთიანება ჯერ საქართველოს ს/კ 405174966 და სსიპ კოლეჯს "ახალი ტალღა" შორის 2020 წლის 13 ივლისს, გაფორმებული მომსახურების შესახებ №03-14/06 ხელშეკრულება, რითაც კოლეჯმა მიიღო დამატებითი შემოსავლები, რაც ხმარდება კოლეჯის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.

ფანანსური ანგარიშის შესახებ

მოგახსენებთ, რომ 2020 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში განსაზღვრული იყო სავარაუდო შემოსავლები, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროგრამული დაფინანსების ფარგლებში, ასევე ვაუჩერული და საკუთარი სახსრების დაფინანსების ფარგლებში.

2020 წლის დასაწყისში დამტკიცდა 2020 წლის ბიუჯეტი, რომელიც დაგეგმილი იყო რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლით, ისე ხარჯვით ნაწილში. კოლეჯის 2020 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებულმა შემოსავალმა პროგრამული დაფინანსების ფარგლებში სახაზინო კოდი (32030103) შეადგინა 1 087 993,00 ლარი. კოლეჯში რიცხულ პროფესიულ სტუდენტზე მიღებულია ვაუჩერული დაფინანსება - 2 213 956,00 (ორი მილიონ ორასცამმეტიათასცხრაასორმოცდათექვსმეტი ლარი) ლარი.

კოლეჯის არასაბიუჯეტო შემოსავლებმა შეადგინა 109 557 ლარი, კერძოდ შენობის ფართის იჯარით გადაცემიდან მიღებულია 27 880,00 ლარი, მსმენელების მიერ ფასიანი სწავლებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 16 680 ლარი, ქემონიქს ინტერნეშენელლ ინკ-ის ფილიალი ქემონიქს საქართველო - მსმენელების გადამზადებისათვის ჩამოირიცხა - 39 646,00 ლარი, UN OHCHR Tbilisi Officeმიერ პროფესიული მომზადების პროგრამა:"სასტუმროს მიღება-განთვსების პროცედურები"შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთთვის (10 მსმენელი)გადმორიცხული იქნა 10 400,00 ლარი, კოლეჯის ბაზაზე არსებული სტუდენტური კაფედან და სხვა კოლეჯის მიერ გაწეული მომსახურებიდან

მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა - 14 136,00 ლარი, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (ხელშეკრულების დარღვევიდან დაკისრებული პირგასამტეხლო) – 815,00 ლარი.

გაეროს განვითარების პროგრამიდან (შემდგომში წოდებული UNDP) მიზნობრივი გრანტის სახით ჩამორიცხული იქნა 39 500,00 ლარი.

მიღებულია გრანტის სახით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროსაგან პროფესიული მომზადების პროგრამების: „საწყობის ლოგისტიკის ოპერატორის“ განხორციელების ფინანსური ხელშეწყობის მიზნით - 2 400,00 ლარი, ბუღალტრული აღრიცხვა სასტუმრო ინდუსტრიისთვის - 5 600,00 ლარი, სასტუმროს გაყიდვები და მარკეტინგი - 3 500,00 ლარი, სულ 11 500, 00 ლარი.

2020 წლის კოლეჯის ბიუჯეტის შემოსავლები და გადარიცხვითი ოპერაციები განხორციელებულია კანონმდებლობის შესაბამისად. კოლეჯის დირექტორი თანხებს განკარგავს 2020 წლის ბიუჯეტის ცალკეული მუხლების შესაბამისად. 2020 წლის 01 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენს 2 602 256,00 ლარს.

საანგარიშგებო პერიოდში გახარჯული იქნა ჩვენს მიერ სახაზინო კოდზე 32030103-ზე სუბსიდიებში, სხვა ხარჯებში და არაფინანსური აქტივში - 1 087 994,00 ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურების სახით გაცემული იქნა 847 399,00 ლარი, პროგრამული დაფინანსების ფარგლებში 2020 წელს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურებაზე, კერძოდ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტზე და ზრდასრულთა განათლების კოორდინატორზე გაიცა - 22 100,00 ლარი; მივლინება - 4 855,00 ლარი, კომუნალური გადასახადი- 78 798,00 ლარი, კავშირგაბმულობა - 7 727, 00 ლარი, სამედიცინო ხარჯები -210,00 ლარი, სხვა საოფისე ხარჯი - 38 950,00 ლარი, ტრანსპორტის საწვავი და შეკეთება 40 760,00 ლარი, სხვა საქონელი და მომსახურება - 12 349, 00 ლარი, მცირეფასიანი ინვენტარი - 3 750, 00 ლარი დამქირავებლის მიერ გაცემულ სოციალური დახმარების ხარჯებში 1 774,00 ლარი, არაფინანსურ აქტივებში: 3.1.1 – 5 125,00 ლარი, 3.1.2. – 7 750,00 ლარი, 31.4.4 – 13 963,00 ლარი, სხვა ხარჯი: მოსაკრებელი - 2 484,00 ლარი.

ვაუჩერული დაფინანსებიდან გაიხარჯა 1 546 543,00 (ერთიმილიონ ხუთასორმოცდაექვსი ათას ხუთასორმცდასამი) ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურება - 1 268 969,00 ლარი, მივლინება - 975,00 ლარი, ოფისის ხარჯი - 466,00 ლარი, რბილი ინვენტარი და უნიფორმა - 14 444,00 ლარი, სამედიცინო ხარჯი - 49,00 ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპულატაციისა და და მოვლა-შენახვის ხარჯებში - 2 912,00 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯებში - 227 387,00 ლარი, არაფინანსური აქტივის გაზრდა, სხვა მანქანა დანადგარები - 4 349,00 ლარი, შენობა-ნაგებობების რემონტი - 20 448,00 ლარი, სხვა ძირითადი აქტივები - 6 544,00 ლარი.

საკუთრი სახსრებიდან გაიხარჯა სულ 118 290,00 ლარი; შრომის ანაზღურება - 66 565 , 00 ლარი, საქონელი და მომსახურება - 8 679,00 ლარი, მივლინება - 3 740,00 ლარი, ოფისის ხარჯი 9 543,00 ლარი, ტრანსორტის შეკეთება და სათადარიგო ნაწილები - 1 353,00 ლარი, სხვა ხარჯი 22 992,00 ლარი, კვების ხარჯები - 205,00 ლარი, შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი - 4 378,00 ლარი, მანქანა დანადგარების და ინვენტარის შეძენის მუხლი - 660,00 ლარი, ავტორიზაცია- 175,00 ლარი.

გაეროს განვითარების პროგრამიდან ჩამორიცხული 39 500,00 ლარიდან გაიხარჯა 29 500,00 ლარი, კერძოდ: ახალი სტანდარტების შესაბამისად მარეგულირებელი დოკუმენტების შექმნის მიზნით აყვანილ ექსპერტებს შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე ჩაერიცხათ შრომის ანაზღაურების სახით - 19 500,00 ლარი, პროექტში ჩართულ ადმინისტრაციის წევრებს შრომის ანაზღურება - 6 000, 00 ლარი, მცირე მხედველთა და უსინათლოთათვის ადაპტირებული გარემოს შესაქმნელად თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების პოპულარიზაცია და ტრენინგი - 4 000,00 ლარი.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროსაგან მიღებული გრანტიდან პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის დაფინანსებიდან, გაიხარჯა 27 710,00 ლარი.

კოლეჯის ბაზაზე არსებული ხუთსართულიანი შენობის შეფუთვისა და შენობის უსაფრთხოებისათვის, ამასთან კოლეჯის I და II კორპუსის დამაკავშირებელი გადასასვლელის და ბიბლიოთეკის სახურავის შეკეთებისასთვის „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგანტოსგან“ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან შპს "ქართული სამშენებლო ჯგუფთან“ 2020 წლის 23 აპრილს გაფორმებული N320702/03/53 ხელშეკრულება 1 605 000,00 ლარზე შესრულებულმა სამუშაოს ღირებულებამ შეადგინა 1 575 505,26 ლარს ექსპერტიზის ღირებულების ჩათვლით. სადაც მესამე მხარეს წარმოადგენდა სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“ და ჩარიცხული იქნა ჩვენს მიერ 412 825,00 (ოთხასთორმეტიათას რვაასოცსდახუთი ლარი.) ლარი. აღნიშნული სამუშაოები კოლეჯს ჩაბარდა მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

აქვე მოგახსენებთ, რომ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგაენტოსგან“ კულინარიის ხელოვნების და კონდიტერიის პროგრამების აღჭურვილობისათვის მიღებული დაფინანსებიდან (ხელშეკრულება N 32070202-35; N320702-17;) 207 615,75 ლარიდან შესყიდულია 140 841,00 ლარის აღჭურვილობა; პროგრამა მსუბუქი ავტომობილის შეკეთებისათვის მიღებული დაფინანსებიდან (ხელშეკრულება N 32070202-29; N320702-18;) 103 301,00 ლარიდან შესყიდულია 79 530,00 ლარის აღჭურვილობა;

ქვეყანაში მიმდინარე პანდემიის პირობებში უზრუნველყოფილი იქნა სადეზინფექციო ხსნარით მომსახურეობა კოლეჯის ტერიტორიაზე; სადეზინფექციო საშუალებების შეძენა . მიმდინარე პანდემის დაცვის უზრნუნველსაყოფად გატარებული იქნა ყველა ის ღონისძიება რომელსაც ითვალისწინებს კანონმდებლობა და შესყიდული იქნა შესაბამისი აღჭურვილობა ორივე ფილიალისათვის 16 022,37 ლარი.

2020 წელს კოლეჯში „ახალი ტალღა“ მიმდინარეობს სახელოსნოების მშენებლობა (მსუბუქი ავტომობილის შეკეთება, ხის მხატრული დამუშავება და შედუღება) რომელიც ხორციელდება „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგანტოს“ მიერ. გამარჯვებული კომპანია არის ამხანაგობა "მოდერნ ბილდინგ გრუპ", ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს - 679 677,00 ლარს.

2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბანკო ნაშთი გვერიცხება ვაუჩერული დაფინანსების წყაროდან - 2 477 293,00 ლარი, საკუთრი სახსრების დაფინანსების წყაროდან -

14 009,00 ლარი, ინფრასტრუქტურის დაფინანსების წყაროდან - 120 287 ლარი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს გრანტი - 9 100,00 ლარი, სულ ნაშთი - 2 620 689 ლარი.

2020 წელს განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განახლების ანალიზი, გამოიკვეთა ჯგუფები, სადაც საჭიროებს აღნიშნულ განახლებას, მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე ეპიდ სიტუაციიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა შესყიდვა და გადაინაცვლებს 2021 წელს. ამასთანავე საბიბლიოთეკო ფონდის განახლება მოხდა: კოლეჯის 2020 წლის 04 მარტის 01-04/36 გათვალისწინებული საკუთარი (ვაუჩერული) სახსრებით ინტეგრირებული საგანმამნათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელის და სისტემისათვის“ შესყიდული იქნა 3 299,00 ლარის წიგნადი ფონდი.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, დასრულდა 5 სართულიანი კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოები, „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგანტოსგან“ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან შპს "ქართული სამშენებლო ჯგუფთან“ 2020 წლის 23 აპრილს გაფორმებული N320702/03/53 ხელშეკრულება 1 605 000 ლარზე შესრულებულმა სამუშაოს ღირებულებამ შეადგინა 1 575 505,26 ლარს ექსპერტიზის ღირებულების ჩათვლით, რომელიც გადმოგვეცა მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

პატივისცემით,

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტრო /
პროფესიული საგანმანათლებლო
დაწესებულებები /
სსიპ კოლეჯი "ახალი ტალღა" დირექტორი
ხახუტაიშვილი ლაშა